ფოკუს-ჯგუფის შეხვედრი

ფოკუს ჯგუფი 2023 წლის დეკემბერში ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მცხოვრები 9 მონაწილე.
კვლევა ჩატარდა „გურიის სამოქალაქო ცენტრის“ მიერ პროექტის „საკითხზე ორიენტირებული საჯარო დისკუსიები“ ფარგლებში. პროექტის მიზანია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში გურიის მხარეში პოლიტიკურ სუბიექტებს შორის საგნობრივი დისკუსიის წახალისება და ინტერესთა ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მხარდაჭერა.
კვლევის ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

გურიის სამოქალაქო ცენტრი
https://civicguria.ge/

ფოკუს-ჯგუფის შედეგები

დასაქმება და შემოსავლები

ძირითადი დასკვნები:

დაქირავებით დასაქმებულები დაბალ ხელფასს და რთულ სამუშაო პირობებს უჩივიან

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობ საკმარის შემოსავალს არ იძლევა პროდუქციის გასაღების სირთულის გამო

32 წლის ქალი, სოფელი, დასაქმებული:



დაფასება უნდა ჰქონდეს იმ შრომას, ადამიანის, რასაც ის აკეთებს. მე ვარ მთელი დღე სამსახურში **გაწყვეტილი წელში**, დილიდან საღამომდე, და ანაზღაურება მაქვს **400-500 ლარი**, ეგ უკვე სამარცხვინოა, ჯანმრთელობაც გერყევა ადამიანს.

33 წლის კაცი, სოფელი, დასაქმებული:



ფერმერულ მეურნეობას ვეწევი და გასაღების პრობლემა მაქვს ძალიან დიდი, სასათბურე მეურნეობაც მაქვს, ამ ყველაფერს ოჯახთან ერთად ვაკეთებ და ორივე მიმართულებით შემხვედრია ის პრობლემები, რომ ბაზარი არ არის, **ვერ ვახერხებ ჩემი შრომის დაფასებას.** მანდარინია, თხილია, თუ რაცაა, **ფასი არ აქვს არაფერი**

39 წლის ქალი, დაბა, დაუსაქმებელი:

ვიმუშავე რესტორანში და ისეთი გამომუშავება მქონდა, **დილას 8-ზე რომ წავიდოდი, ღამე 2-ზე მოვდიოდი სახლში** და მე **შვილები ვეღარ მცნობდნენ**. საზღვარგარეთ წახვალ, იქ იმუშავებ და ხუთმაგი გაქვს ხელფასი



ჯანდაცვა

ძირითადი დასკვნები:

პირველადი ჯანდაცვის სერვისი ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის

ადგილობრივი საავადმყოფოების მომსახურების ხარისხს უარყოფითად აფასებენ და არ ენდობიან

32 წლის ქალი, სოფელი, დასაქმებული:

ჩვენთან სოფელში, **არ გვყავს უბნის ექიმი,** კვირაში მოდის ერთხელ და **ეს ქმნის ძალიან დიდ პრობლემას.** როცა ადამიანს რაღაცა სჭირდება, არ არის ფიზიკურად უბნის ექიმი, რომ გაგიკეთოს თუნდაც რამე მიმართვა, რომ წავიდეს ექიმთან.





53 წლის კაცი, სოფელი, დასაქმებული:



ვფიქრობ **არ მივიდე საერთოდ ექიმთან**, აქ მითუმეტეს, შეიძლება რაც მჭირს, **იმაზე უარესად გამხადოს,** რაღაცა ისეთი დამიწეროს.

განათლება

ძირითადი დასკვნები:

სკოლა არ იძლევა საკმარის განათლებას

33 წლის ქალი, ქალაქი, დასაქმებული:

ვერ იღებენ ბავშვები შესაბამის ცოდნას, თუ რეპეტიტორებთან არ იარა.

უსაფრთხოება

ძირითადი დასკვნები:

კრიმინალური შემთხვევების და დამნაშავეობის მიმართ შიში ნაკლებია მიუსაფარი ძაღლების სიმრავლეს მოსახლეობა უსაფრთხოების პრობლემად აღიქვამს

48 წლის ქალი, ქალაქი, დასაქმებული:

პრობლემა არის ძალიან დიდი, რომ უპატრონო ძაღლებია ა დამიანზე მეტად და ძაან დიდი პრობლემაა. არ მოწესრიგდა, წლების მანძილზე. ქუჩაში ბავშვი ვერ შეჭამს რამეს, შეიძლება წაართვას,შეიძლება უკბინოს.
მართლა ვერ ვგრძნობ თავს უსაფრთხოდ.

22 წლის კაცი, სოფელი, თვითდასაქმებული:



პატარა სოფელია, ყველა ერთმანეთს იცნობს და
[კრიმინალური] შემთხვევები არ ხდება.
სხვა სოფლიდან ვინმე ნამდვილად არ გადმოვა
ან მოსაპარად, ან ვინმეს მოსაკლავად, ან გასატანად

ინფრასტრუქტურა

ძირითადი დასკვნები:

მუნიციპალურ ცენტრებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხილულია

სოფლებში მდგომარეობა განსხვავებულია, ზოგიერთ სოფელში შიდა ინფრასტრუქტურაგაუმჯობესდა, თუმცა ზოგან მდგომარეობა თითქმის არ იცვლება

გახშირებული სტიქიური მოვლენები ზიანს აყენებს ინფრასტრუქტურას

პრობლემად რჩება წყალმომარაგება, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები

33 წლის ქალი, ქალაქი, დასაქმებული:



ქალაქში არის უკეთესობა ნამდვილად, რასაც ვხედავთ თვალით სკვერებიც გაკეთდა, ფასადები გალამაზდა. მაგრამ წყალი წყდება 12 საათზე და 12-ის ნახევარზე რომ მოვდივარ სამსახურიდან, ნახევარ საათში ყველაფერი როგორ უნდა მოვასწრო, არ ვიცი.
12 საათზე წყლის შეწყვეტა, ძაან ცუდია.



29 წლის კაცი, დაბა, თვითდასაქმებული:



ჩემს სოფელშიც ამ ბოლო წლებშია უფრო ცვლილებები
და ამ ბოლო დროს **ისეთ უბნებში დაიგო გზა და განათება
ისეთ უბნებში შევიდა, სადაც არასდროს არ ყოფილა**



33 წლის კაცი, სოფელი, დასაქმებული:



**ასფალტისსაფარიანი გზები არ გვაქვს, არც სანიაღვრე
სისტემა არ გვაქვს,** პირველ რიგში სანიაღვრე სისტემა უნდა
გვქონდეს, რომ გზა გაშრეს, გზაზე წყალი არ დადგეს და
წყალი გზაზე არ მიედინებოდეს და მიედინებოდეს სანიაღვრე არხში.



32 წლის ქალი, სოფელი, დასაქმებული:

სტიქია რაც მოხდა, მერე [სოფელი] მოწყვეტილი არის ყველაფერს.
სასწრაფო ვერ მოდის, თუ მანქანა არ გყავს მაღალზე,
გადაადგილება შეუძლებელია. სასწრაფოც რომ მოვიდეს,
იმდენად ცუდი გზებია, რომ შეიძლება პაციენტამდეც ვერ მიაღწიოს.



მიგრაცია

ძირითადი დასკვნები:

საზღვარგარეთ მიგრაციის დონე ძალიან მაღალია

მიგრაციის ძირითადი მიზეზებია დაბალი შემოსავლები, ვალაუვალობა ბანკების მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო



48 წლის ქალი, ქალაქი, თვითდასაქმებული:

ჩემი ოჯახიდან სამი ემიგრანტია რა წასული, ჩემი შვილი და მისი მეუღლე, ეხლახან წავიდა, მეუღლე უკვე ხუთი წელია, ჩემი მეგობრებიც წასვლას აპირებენ, ნუ ზოგადად, ეს პრობლემა ყველას გვაქვს

36 წლის ქალი, სოფელი, დაუსაქმებელი:

ჩემი ოჯახიდანაც არის წასული, ბანკის პრობლემის გამო, იმიტომ, რომ იმდენად მაღალი პროცენტებია, რომ საბოლოო ჯამში,ვერ გადაიხადა. და იძულებული გახდა, ოჯახი დაეტოვებინა.

კვლევის მონაწილეები საკუთარ დასახლებებს მეტწილად პოზიტიურად აღიქვამენ, მიაჩნიათ ისინი საცხოვრებლად უსაფრთხოდ და ხედავენ საჯარო ინფრასტრუქტურის მცირე გაუმჯობესებას. მთავარ პრობლემად ასახელებენ **მიგრაციას,** რისი **ძირითადი მიზეზებიც არის რეგიონში შემოსავლების სიმცირე, ვალაუვალობა და ჯანმრთელობის დაცვის სერვისების დაბალი ხელმისაწვდომობა და ხარისხი.**

1 და 2 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში, დაბა ლაითურში და ქალაქ ოზურგეთში, ასევე ქალაქ ლანჩხუთსა და დაბა ჩოხატაურში ჩატარდა საჯარო კენჭისყრები მოქალაქეებისთვის პრიორიტეტული საკითხების გამოსავლენად.

„რომელია თქვენთვის ყველაზე პრიორიტეტული საკითხი, რაზეც უნდა იმუშაოს ახალმა პარლამენტმა?“ ამ კითხვას მოქალაქეები ხის ყუთებში შესაბამისი ჟეტონების მოთავსებით პასუხობდნენ D21 მეთოდის შესაბამისად.

ფოკუს-ჯგუფების და D21 გამოკითხვის შედეგად გურიის რეგიონში შერჩეული სამი პრიორიტეტული საკითხია

1. მიუსაფარი ძაღლების სიმრავლე
2. პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და საავადმყოფოების მომსახურების ხარისხი
3. მაღალი პროცენტები ბანკის სესხებზე